

განმარტებითი ბარათი

საქართველოს კანონპროექტზე „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე”

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის შემუშავება განაპირობებულია სადაზღვევო ბაზრის ეფექტური რეგულირების გაძლიერების აუცილებლობით.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიზანია სადაზღვევო სფეროში სახელმწიფო რეგულირების ეფექტურობის უზრუნველყოფა, სადაზღვევო ბაზრის ფინანსური სტაბილურობისა და განვითარების მისაღწევად. აგრეთვე, FATF-ის (ფინანსური ქმედებების სპეციალური ჯგუფის) და ევროსაბჭოს ფულის გათეთრების საწინააღმდეგო რჩეულ ექსპერტთა კომიტეტის (MONEYVAL) რეკომენდაციების შესრულების უზრუნველყოფა.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

შემოთავაზებული ცვლილებები განაპირობებულია იმ ფაქტით, რომ საქართველოს სადაზღვევო ბაზარი უფრო და უფრო ვითარდება და არსებულ კანონში მოცემული ნორმები გარკვეულწილად ვეღარ პასუხობს ბაზრის მოთხოვნებს. კერძოდ, მოძველებული და არასწორია გადაზღვევის, ფაკულტატორული გადაზღვევის ტერმინები.

ამასანავე, იქიდან გამომდინარე, რომ „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად საბროკერო საქმიანობა აღარ წარმოადგენს ლიცენზიით გათვალისწინებულ საქმიანობას, აღნიშნული ტერმინები საჭიროებენ შესაბამის განმარტებას.

„ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე საფინანსო სექტორზე მათ შორის დაზღვევის სფეროზე ზედამხედველობას ახორციელებს ეროვნული ბანკი. იმის გათვალისწინებით, რომ სადაზღვევო სფერო საკმაოდ მნიშვნელოვან ფინანსურ სფეროს წარმოადგენს, რომელშიც ასახვას ჰპოვებს როგორც სახელმწიფო აგრეთვე მოქალაქეთა ინტერესები, საჭიროა უფრო ეფექტური რეგულირების დაწესება. საერთაშორისო პრაქტიკისა და საერთაშორისო დაზღვევის ზედამხედველობის ასოციაციის სტანდარტების გათვალისწინებით, დაზღვევის სფეროში სახელმწიფო რეგულატორი უნდა ფლობდეს ადეკვატურ უფლებამოსილებას. ამჟამინდელი კანონმდებლობის საფუძველზე, ეროვნული ბანკის უფლებამოსილება საკმაოდ მოუქნელია, რაც თავის მხრივ ვერ უზრუნველყოფს სადაზღვევო ბაზრის ფინანსურ სტაბილურობასა და განვითარებას. ამასთანავე, აღნიშნული ცვლილებები

განპირობებულია იმ ფაქტითაც, რომ რეგულატორის უფლებამოსილება არ უნდა შემოიფარგლებოდეს მხოლოდ ლიცენზიის გაცემითა და გაუქმებით. არსებული კანონის რედაქციით, სახელმწიფო რეგულატორს არ გააჩნია სათანადო უფლებამოსილება, რათა ეფექტურად განახორციელოს სადაზღვევო სფეროს ზედამხედველობა. სახელმწიფო პოლიტიკის გათვალისწინებით, კერძოდ, სახელმწიფო პროგრამების განხორციელება კერძო სადაზღვევო კომპანიების მეშვეობით, არსებით პირობას წარმოადგენს ადეკვატური სახელმწიფო რეგულატორის არსებობა.

შემოთავაზებული ცვლილებები განსაზღვრავს აგრეთვე ლიცენზირების პირობებსა და პროცედურას, რაც სადაზღვევო ბაზრის სპეციფიკურობიდან გამომდინარე მოითხოვს განსხვავებულ მიდგომას. ამასთანავე, სალიცენზიო ერთ-ერთ პირობად დადგენილია ზღვეველის ადმინისტრატორების და მნიშვნელოვანი წილის მფლობელი აქციონერების შესაფერისობის კრიტერიუმები რაც განპირობებულია FATF-ის (ფინანსური ქმედებების სპეციალური ჯგუფის) და ევროსაბჭოს ფულის გათეთრების საწინააღმდეგო რჩეულ ექსპერტთა კომიტეტის (MONEYVAL) რეკომენდაციების მოთხოვნებით. ამ რეკომენდაციებით აგრეთვე განსაზღვრულია სადაზღვევო კომპანიების მიერ ბენეფიციარი მესაკუთრეების რეგულატორისათვის განცხადებისა და შესაბამისი ინფორმაციის წარდგენის ვალდებულება.

კანონპროექტის საფუძველზე იცვლება სადაზღვევო ორგანიზაციებისათვის სავალდებულოდ შესასრულებელი ნორმატივები. ეს კი განპირობებულია იმ ფაქტით, რომ არსებული ნორმატივები ვერ უზრუნველყოფენ სადაზღვევო ორგანიზაციების გადახდისუნარიანობასა და ფინანსურ სტაბილურობას.

კანონპროექტით აგრეთვე რეგულირდება ის საკითხი, რომ სადაზღვევო კომპანია ვალდებულია წინასწარ შეატყობინოს და მიიღოს თანხმობა ეროვნული ბანკისაგან მნიშვნელოვანი წილის გასხვისების, ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმის შეცვლისა და რეორგანიზაციის შემთხვევაში. აღნიშნული საკითხების წინასწარი თანხმობის საფუძველზე განხორციელებულია იმ ფაქტით, რომ შესაძლებელი იყოს დაზღვეულთა შესაბამისი ინტერესების სათანადოდ დაცვა.

კანონპროექტით გათვალისწინებულია, რომ სადაზღვევო კომპანიის ლიცენზიის გაუქმებისთანავე იწყება მისი ლიკვიდაციის პროცესი. აღნიშნული საკითხი მნიშვნელოვანია იმ კუთხით, რომ ამ ეტაპისათვის ლიცენზიის გაუქმება არ მოიცავს არანაირ სხვა სახის პროცედურას რაც უზრუნველყოფდა ვალდებულებების გასტუმრებას სადაზღვევო კომპანიის მხრიდან.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

აღნიშნული კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს ბიუჯეტიდან დამატებითი ასიგნებების გამოყოფის აუცილებლობას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:
კანონპროექტი არ ახდენს ზეგავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:
კანონპროექტი არ ახდენს ზეგავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულება:
სახელმწიფო არ იღებს ახალ ფინანსურ ვალდებულებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:
იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება ფინანსური ზეგავლენა არ გააჩნია.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი)
კანონპროექტით არანაირი გადასახადი, მოსაკრებელი, ან სხვა სახის გადასახდელი არ არის განსაზღვრული.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:
კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:
კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ვალდებულებებთან:
კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ვალდებულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები. მასში აღინიშნება:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტების შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

დ.გ) კანონპროექტის ავტორი: საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი: საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი.